

1945

წიგნ. ლ. ქუთათელაძისა



საბჭოთაო
ქრონიკა

ნიუნგი

№ 4. 1945 წ. თბილისი, გამოსცემის ყოველ
XXII. გამოსცემლობა „კომუნისტო“.
ფანსი ქუჩას.




20/11 5
ს. ვალო
36



ბებლანისაკენ!

ლ. ქუთათელაძე



— გული იჯერე ოდერის წყლით, ჩემო მერანო, რომ ბერლინამდე აღარ მოგწურდეს.

ოსტაშვირი წაღიწარი

წითელი არმიის დღისათვის

ოცდაშვიდი წელიწადი
საუკუნეს ეღრება,
მან აღწარდა ვაჟკაცები
შეუღრეკელ მხედრებად.

დღეს არმია ამ ლომების
დეწავს შავბშელ უკუნეთს, —
მისი ხმა და მისი ხმალი
მტერზე რისხვად გუგუნებს!

დე შომხდური გაიხრისოს,
დე ელავდეს მახვილი,
დე სალუტებს შეუერთდეს
ჩვენი შემოძახილი!

დიდება მას, ვინც გვიჩუქა
ეს ხალხისი მღვდვარე,
ვინც ჩაუქრობ გამარჯვების
ხარადად ეღვარებს —

ვინც ჩვენი ცა, ჩვენი მიწა
შუქით გამოაღარა,
ვინც სამშობლოს სიყვარულით
გულავსილი გვატარა,

ვისი მტკიცე, მძლე მარჯვენით
გაქედილი ეპოქაც,
მომავალი თაობების
გულებს შუქად ეყოფა, —

დიდება მას, ვინც მტერს დაძვრა
მისი ურდო არბია,
დიდება ჩვენს მთავარხარდაღს
და ჩვენს წითელ არმიას,
ს. ფაშალინგვილი

ჭაჭარა მოთხრობები

სამი პროფსია

გერმანიაში, გზატკეცილზე სამი ევაკუირებული მოქალაქე მიალაჯებს.
— მე ისეთი პროფესია მაქვს, რომ ამ ხელობას ჩვენში აღარავინ ისწავლის. — ამბობს


ერთი.

- რატომ? — ეკითხებიან თანამგზავრნი.
- იმიტომ, რომ ჩემი პროფესიით დაწყებული კარიერა კრახით დამთავრდება.
- მღებარი ყოფილხარ! — გამოიცნობს ერთერთი თანამგზავრი.
- მე კი ისეთი პროფესია მაქვს, რომ ჩემს ხელობას ყველა გერმანელი ფაშისტის
- ნატრულობს. — ამბობს მეორე.
- მორბენალი ყოფილხარ! — გამოიცნობს პირველი.
- ჩემი ხელობა კი, ყველაზე საპატიო ხელობაა. ჩემს მიერ გაკეთებული ნივთი გერმანიის თავისმომჭრელების ჯავრს ამოიყრის.
- რევოლვერების მკეთებელი ხარ? — ეკითხება პირველი და მეორე მგზავრი.
- არა, თოკების მგრეხავი... — ამბობს მესამე.

ყველაზე უიღბლო ობიექტი

მოსახლეობას წინადადება მიეცა სასწრაფოდ დატოვოს ქალაქი.
ევაკუაციისათვის გამზადებული ჰანსი დალონებული შესცქერის ბინაში განლაგებულ
ნივთებს.

- მამილო, რას უზამენ ამ მაგიდას, რუსები? — ეკითხება ბავშვი.
- დაამტვრევენ. — იღრინება ჰანსი.
- მერე? ჩვენ რომ დავბრუნდებით?
- დაამტვრეული დაგვხვდება.
- მამილო, რად დაამტვრევენ?
- იმიტომ, რომ ბრძოლის დროს ყუმბარა მოხვდება.
- ამას რაღას უზამენ? — ათითებს ბავშვი წიგნების განჯინაზე.
- ეგ ვის რად უნდა?!
- ამას, მამილო, ამას რაღას უზამენ? — მიუთითებს ბავშვი ტანსაცმლის განჯინაზე.
- არაფერს... — კვლავ იღრინება ჰანსი.
- ამას? ამას რაღა დაემართება?
- მაგას? მაგის ქაქანებაც აღარსად იქნება. — ეუბნება მამა. ამყამად მათი საუბრი
- ობიექტია ჰიტლერის სურათი.



დეიდა სოფიო ავად გახდა. მეცამეტე დღეს ექიმის დიაგნოზით შევიტყვეთ რომ „საშიში არაფერია და ავადმყოფი ადვილი შესაძლებელია მორჩეს“. ავადმყოფობის მიზეზი კი, მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა გაცივებათ იცნო, სულ სხვა გამოდგა: დეიდა სოფიოს ბალიშქვეშ შემთხვევით აღმოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მისი შვილი ლეიტენანტი სიკო დორეული გმირულად დაიღუპა სამამულო ომის ფრონტზე.

დეიდა სოფიოს მეორე შვილმა, ჩემმა მეგობარმა ნოშრევანმა, ტუჩზე იკბინა და სინანული გამოსთქვა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ცნობას კარგად ვერ მოუხარა, დაუდევრობის გამო ხელში ჩაუგდო მოხუცებულს და არასასიამოვნო ამბავი გამოააშკარავა.

ავადმყოფს აგიტვირთული ჩვეუტარეთ: ვუხსნიდით, რომ ცნობა შეიძლება არასწორი გამოდგარიყო, „ცილს ვწამებდით“ ფოსტა-ტელეგრაფს და ხშირ-ხშირად ვიგონებდით გურიაში მომხდარ იმ ამბავს, თუ როგორ იცეკვა შემთხვევით შემოსწრებულმა „დალუპულმა“ მებრძოლმა მის საპატივემლოდ გამართულ ქელეხში.

ბევრჯერ გავკილეთ კიდეც ავადმყოფი ასეთი საქციელის გამო. ვეუბნებოდით, რომ მის გარდა სხვა დედებმაც დაკარგეს შვილები, მაგრამ სულით დაცემის მაგიერ გმირულად გადიტანეს მძიმე დანაკლისი და წარმოებაში ერთიორად ასრულებენ გამოუმუშავების ნორმებს, ეხმარებიან ფრონტს, აჩქარებენ მტერზე გამარჯვებას.

დეიდა სოფიო თავის გაქნევით იძლეოდა პასუხს და უსიტყვოდ გვთხოვდა დაგვენებებინა თავი.

ამის გამო ერთ არც ისე რთულ, რამდენადმე არაკეთილსინდისიერ, დრამატურაგიულ ხერხს მივმართეთ: დავარიგეთ მეგობარი მსახიობი გაბრიელ გ. და დეიდა სოფიოს წარვუდგინეთ.

მოციქულმა უამბო დეიდა სოფიოს, თუ როგორ მორჩინეს ჭრილობები მოსკოვის ჰოსპიტალში სიკომ და მან, თავი ლეიტენანტი დორეულის რაზმის მებრძოლად გაასაღა და დასასრულს აღნიშნა ჭრილობების არც ისე საშიში სერიოზულობა და იმედი გამოსთქვა სიკოს სულ მალე სახლში ჩამოსვლის შესახებ.

დეიდა სოფიომ მთელი მისი ავადმყოფობის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა:

—კი, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ სიკო ცოცხალია და წერილი არ გამოგატანა—სთქვა მან.

გაბრიელმა ჩვენს მიერ შედგენილი, სიკოს ხელწერას მიმგვანებული ბარათი ამოიღო ჯიბიდან და მოხუცის კაპრიზი დააკმაყოფილა.

სოფიომ ცრემლმორევით გადაიკითხა „სიკოს ბარათის“ უკანასკნელი სტრიქონები: „ჯავრს არ მიცეო“, ვშმაკს შეაფურთხა, დაჭმომ მიქელ-გაბრიელთან დაშეგობრების სურვილი, წამოდგა ლოგინიდან და მთელი ჯავრი ჩასუქებულ მრგვალ დედალზე ამოიყარა.

სევდა და ვარამი მზიარულმა ქეიფმა შესცვალა. ყოველი ლუქმის ჩაყლაპვაზე ეგრძობდით სინდისის ქენჯნას და მზად ვიყავით ბოდიშის მოხდის შემდეგ აგვეხსნა საქმის სინამდვილე, მაგრამ შედეგისა გვეშინოდა.

ქეიფის დაწყებიდან მესამოცდათორამეტე წუთზე დეიდა სოფიომ ეჭვიანობა დაიწყო:

—კი, მაგრამ არცერთი წერილი არ მოუწერია სიკოს ისე, რომ მისი საცოლის, თინას მოკითხვა არ ყოფილიყოს და ახლა როგორ მოხდა!

გულში ყველამ ვინანეთ, რომ მხედველობიდან გამოგვრჩა ეს ამბავი და გაბრიელი მდგომარეობის გამოსწორებას შეუდგა:

—მასთან ცალკე მქონდა წერილი, დეიდა სოფიო, უკვე გადავეცი დღეს დილას.—აღნიშნა მან.

ამ დაუფიქრებელმა განცხადებამ კინალამ გამოგვააშკარავა:

დეიდა სოფიომ მეორე წერილის შინაარსის გაგება მოიწადინა და მეზობლად მცხოვრებ საპატარძლოსთან ჰავში აფრინა.

გაბრიელმა შეუმჩინებლად იკბინა თითზე და განაცხადა:

—იცი, ცხრა საათისათვის კრებაზე მაგვიანდება.

სუფრის დატოვება მეც მოვიწადინე, მაგრამ ვფრთხილობდი მოხუცს არ შეემჩნია. გაპარვისათვის მზადებამ კარგახანს გასტანა და ბოლოს, როცა წასასვლელად წამოვიმართეთ და ბოდიშის მოხდით საქმის სინამდვილის გამოაშკარავება უნდა გვეცადა, კარებზე კაკუნი გაისმა.

—ოჯახის შვილებო, სტუმარი არ გინდათ?—დაიძახა ვილაკამ გაოედან.

დეიდა სოფიომ სასწრაფოდ გამოაღო კარები და „შენ გენაცვალეს“ დაძახების შემდეგ ახალმოსულს გადაეხვია.

—სიკო, ძმაო!—ხმა ყელში გაეწირა ნოშრევანს და

სიკო ახალმოსულს დაეტაკა.

ოთახში ლეიტენანტი სიკო დორეული შემოვიდა, ძმასა და დედამ მაგრად ჩაებლუჯათ იგი. მალე თინაც მოვიდა.

მე და გაბრიელი ახლა უფრო უზერხულ მდგომარეობაში ჩავყარდით. წამოსვლა ვცადეთ, არ გამოგვიშვეს. მოტყუილების გამო შერცხვენასა და გაწითლებას შევეგუეთ, მეტი რა გზა იყო!

მაგრამ ვილას ახსოვდა ეს ამბავი. სუფრასთან ნამდვილად გაცოცხლებული სიკო დორეული იჯდა. სადღეგრძელოებს ამბობდა და ვიცინოდით ჩაენი საქციელის გამო.

დიან გმზიარულობდით და ვიცინოდით. მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო ერთი გარემოება იყო ამ საღამოს.

ოჯახი რომ დაეტოვეთ, გაბრიელი შემომჩინდა:

—ასე თუ შეგეძლოთ, მე რაღას მარცხენითო.

—რა შეგვეძლო, ბიჭო?

—რა და, თუ კი ასეთი წარმოდგენის გამართვა შეგეძლოთ, მე რაღა შუაში ვიყავი... მაინც რა კარგად ჰქონდა გრიმი გაკეთებული იმ შენ სიკოს. დედამ ხომ ვერ იცნო და მეც ვერ ვიცანი. ჩვენი თეატრიდან იყო?

მე სიცილი ამიგარდა: საცოდავ გაბრიელს, რაკი თითონ მოიტყუილა—ყველაფერი ეს, ტყუილი ეგონა.

გ. ივანიშვილი

გაკანადი, რომელმაც კარგად იცოდა გაკანადების გუნება

პოეტი შილერი არაფერს არ სწერდა ისე, რომ ძირითადად არ შეესწავლა მასალა. მან დასწერა: „ტურანდოტი“ ჩინეთისათვის, „ფილენია“—საბერძნეთისათვის, „ვილჰელმ ტელი“—შვეიცარიისათვის, „დონ-კარლოსი“—ესპანეთისათვის, „ნარია სტიუარტი“—ინგლისისათვის, „ჟანა-დარკი“—საფრანგეთისათვის, ხოლო „ავაჯაკები“—გერმანიისათვის.

ყიჩიბის კონფიანსიის შეშლავ

ნახ. გ. ისაევია.



—სულ ხმელეთზეა „ფიურერი“, მაგრამ მაინც ზღვის ავადმყოფობა დაემართა.
—შავი ზღვის ავადმყოფობაა, ეგ აღარ მორჩება.

მხატვნი დონოს




მტრის დაშკრა; მტერი ადინა, კვალაკვალ მიხუვა რევიდან. მას შემდეგ გამარჯვებული რამდენ ქალაქში შევიდა! ჩანჩიხაძე ვაჟაკი.

ქებით იხენებს ქვეყანა, ნახალი მხრებზე მოედო, წარბები რისხვით შექურა, ხადაც მიიდა, ვახტეშ, მტერი დადევა მკევიზარ.

ნურც მონადირე ვაოცებო, ნურც მისი ნანადრევი!— არც ხოხობს ხოცავს, არც ჯიხვევს. არც დაუჭრია ირემი. ტყეში გმირულად უფლია მტრის გეშუე ვაფაციებო!

ჩანთაზე დაუკიდა გულანგმორული ფრიცები. ზოგისთვის თოქი ჩაუბამს, თან მოხუავს, როგორც ქოფაკი... — პარტიზანი ბაკრაძე, თანამებრძოლი კოვაკის!



მტრის ხასხლს რომ ვუხვდ აყენებს ვუხედაქე ნაქები, ვერ ვაუმარდა სიხავერ.


ვირც ზღუდე მტეიდე ნავები, მტრები წუთლიან ზრქილაში, ღოცავენ ამბანავები.



ქალაქის ზეგლიროთიქა

თუშია მარამ კარვია, ბეგრხა სჯობს ფალანსაო, მტრინაფი ზიტალიშილი მტრის თაგზე აქცენს ბანსაო.

ხან ქარხნებს გამოუქროლებს, ხან ტვირთის ქარავანსაო, ბოშებს დაქრავს, ვადაფორინდება ბერლინის ვალანსაო.



გმიკი ვაღიღოთ რამდენი, სიკვლილს რომ სოთხენ ტანკიდან, მათმა ტევიამ დ ვაჟანმა მტრის ზუნავს ცეცხლი წაშკიდა.

მათი გუგუნე, ბერლინში პარალით დავვირვიხენდება, მათში ქართველი ბეგრია, ჩვენს გმირ ტანკისტებს დიდება!

პოეტი ბელთაძე თავის ოთახში მუშაობდა, როცა მასთან მეგობარი—ისიც მწერალი—მელთაძე მივიდა.

— ახალ პოემას სწერ? — შეეკითხა მელთაძე.

— პოემას კი არა, მთარგმნელისთვის „პაღ-სტრონიკებს“ ვაკეთებ.— წაიბურტყუნა ბელ-თაძემ.— გამიჭარვა ერთმა სტრიქონმა საქმე, ვერ მოვახერხე გადამეთარგმნა... მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორ ვთქვა რუსულად: „ორ-კუზიანი ჩემი აქლემი სივრცეს მიარღვევს“...

— მაგაზე ადვილი რაა, შე კაცო,— მიუგო მელთაძემ— ორკუზიანიო, შენ ამბობ? მდა... ორკუზიანი.

— ჰო, ორკუზიანი! — მიაჩერდა ბელთაძე.

— მდა... ორკუზიანი. — ჩაფიქრდა მელთაძე.

მელთაძე ფიქრს მიეცა. ბელთაძე მოთმინე-ბით პასუხს ელოდა.

— აჰა, მივხვდი ახლა! — სთქვა მელთაძემ.— ესე იგი შენს აქლემს ორი კუზი აქვს... ასეა, ხომ?

— ჰო, ადამიანო, რაა აქ გაუგებარი!

— დაიცა, ნუ კი ცხარობ... „პაღსტრონიკს“ აკეთებ, უბრალო საქმე ხომ არაა... ყველაფერი დაზუსტებული უნდა იქნეს. თუ ასე არ იქნა, ლექსს აზრი მოაკლდება და პო-ეტური სურნელება დაეკარგება. მაშასადამე შენ სწერ, რომ ორკუზიანიო... ა? ორკუზია-ნია, არა? დაიცა, ახლავე გეტყვი.

ისევე ჩაფიქრდა მელთაძე.

ერაზხანს იფიქრა, მერე მეგობარს შეხედა და ჩუმად მიმართა:

— კი მაგრამ, მაინცადამაინც ორკუზიანი უნ-და იყოს? მაგალითად, რა უჭირს თუ ერთკუზი-ანი იქნება? რაო, ვითომ ამით აზრი შეიცვლება?

— ასე მაქვს ლექსში და...

— ერთკუზიანი გახადე, ძმობას გეფიცები ამით არაფერი დაშავდება, — გახალისდა მელ-თაძე, — იმდენი შენ და მე სიკეთე, რამდენიც ასეთი აქლემი მენახოს.

— აგრე იყოს! — ადვილად დასთანხმდა ბელთაძე.

— ასე დაგეწერა თავიდანვე, შე კაიკაცი-შვილო. რა დაგიტყინა მაინცადამაინც ორკუ-ზიანი! ახლა მაგის თარგმანიც ადვილად გა-კეთდება.

— კი ბატონო, თანახმა ვარ! — ნერვიულად ჩაილაპარაკა ბელთაძემ.

— ჭკვიანი კაცი ხარ, ნუ გაცხარდები. — მხარზე მოუთათუნა მელთაძემ. — დამიჯერე, ასე აჯობებს. საერთოდ იცოდე, რომ გაორებული არაფერი არ ვარგა: არც ადამიანი, არც იდეა, არც ცხოველი.. რომ არ გინდოდეს, მაინც შეგეპარება იდეოლოგიური სიმახინჯე.

— ეგ ვიცი, მაგრამ შენ ის მითხარი, რო-გორ ვთქვა რუსულად?

— გეტყვი, ახლავე გეტყვი.. ოღონდ ჯერ ეს მითხარი: რა მიაქვს იმ შენ აქლემს?

— როგორ თუ რა მიაქვს? — გაკვირვებით შეხედა ბელთაძემ — რა უნდა მიჭკონდეს? არა-ფერი!

— აბა უქმად მიაბიჯებს ეს ამხელა პირუტ-ყვი? თავი მოგიძულებია, უდაბნოში გზას დას-დგომიხარ და აქლემი ცარიელი მიგყავს? ჰაუ,

არ ვარგა ეგ. უდაბნოს ტრანსპორტს ასე რო-გორ გააცდენს კაცი?!

— თუ კი არაა ეგ ლექსში?

— არაა და, უნდა იქნეს. აი, მაგალითად, აჰკიდე ბამბა და წააღებინე...

— რას მეუბნები, ადამიანო? — იყვირა გაო-ცებულმა ბელთაძემ — რა ბამბა, რის ბამბა! ახალი ლექსი დავწერო, თუ?

— ჩაუმატე, აუცილებლად ჩაუმატე — ურ-ჩევდა მელთაძე — კრიტიკა ვეღარ დაგწამებს უაზრო ხეტილს. საქმის კაცად ჩავთვლიან. თუ არა და, არავინ დაგიბეჭდავს.

გამწარდა ბელთაძე. ნერვიულად იწყო ოთახში სიარული. აღარ იცოდა რა ექნა. ბოლოს დაჯდა და სასოწარკვეთით შეხედა მეგობარს.

— ჯანდაბას შენი თავი, ჩავუმატებ მაგ სტრიქონებსაც.

— აი ჭკვიანი კაცი! — გახალისდა მელთა-ძე. — დამიჯერე, შენი სიკეთე მინდა. განა არ იცი, რომ ცარიელი ოცნება არ შეიძლება? საქმე, საქმე. — აი რაა მთავარი. ჩაუმატე ეგ და ესოფლიოს მოეფინება, იცოდე, შენი სა-ხელი.

— არ დავებებ, ბატონო, მსოფლიოს. შენ ახლა ის მითხარი, როგორ იქნება „ერთკუ-ზიანი ჩემი აქლემი“?

— ახლავე, ახლავე! — გაამხნევა მელთაძემ. — ერთკუზიანი ჩემი აქლემი.. მდა... ერთკუზია-ნია, არა?

— ჰო!

— მდა... ერთკუზიანი... ტექს..

ჩაფიქრდა კიდევ. შემდეგ ბელთაძეს მია-ჩერდა.

— დიდი უშნო ცხოველი კია, ის ოჯახ-დასაქცევი. რა საჭიროა ის კუზი მისთვის?

— ასე აქვს და რა ვქნა... მე ხომ არ გა-მიჩინია! — წაიბურტყუნა ბელთაძემ.

— არა, შენ, რასაკვირველია, დამნაშავე არა ხარ, მაგრამ...

— რა მაგრამ? — შეკრთა ბელთაძე.

— რაო და, არ შეიძლება არ ვახსენოთ ის კუზი? მოვხსნათ სულ ის კუზი და..

— რას მიშვრები, ადამიანო? — წამოვარდა ბელთაძე — ჯერ იყო და, ორკუზიანი ერთკუ-ზიანად მიქციე, შემდეგ ბამბა შემაკიდებინე ზედ და ახლა იმ ერთ კუზსაც აღარ მიტო-ვებ? შენ თუ ყური გიგდე, მე ვიცი, იმ ჩემ აქლემს ბოლოს ვირადაც გადააქცევ!

— ა? რაო? ვირადო? — გამოცოცხლდა, გა-ხალისდა მელთაძე — დიდებული აზრია! ჩინე-ბული აზრია! ძმობას გეფიცები, ათასწილად მოიგებ, თუ ვირად აქცევ.. ვირად გახადე, დამიჯერე.. ჯერ ერთი რომ, კეთილი ცხო-ველია, მორჩილი, შრომის მოყვარე და გარდა ამისა არც კუზი აქვს იმ დალოცვილს. ვეღარც ეგზოტიკას დაგწამებს ვინმე და თარგმანიც აღარ გაგიჭირდება... დიდებული მოგაგონ-და ეგ! ნიჭი ხარ, ხალასი ნიჭი, იცოდე!

ამჟამად ზის მაგიდასთან ბელთაძე და მწა-რე ფიქრებს მისცემდა: როგორ ჰქნას, რო-გორ აქციოს აქლემი ვირად, რომ ლექსს პოეზიის ნასახი მაინც შერჩეს?

გერმანელი ემიგრანტი სოციალ-დე მოკრატები, იცავენ რა კვრძნის არმი-აში მყოფ გერმანელ მუშებს. ფაქტიურად ჰიტლერული კაცისმკვლელების დამკ-ველთა როლში გამოდიან.

ნახ. კ. ჩხეიძისა



ხან ისე და ხან ასეო

განსხილება სიუჟიორან

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციამ მიიღო სა-სწრაფო წერილი. მისამართის გარდა კონ-ვერტზე ორი შემდეგი აფორიზმი ეწერა: სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

შოთა.

გარდამხდა გარდასახდელი, აწ კი უარესს მოველი.

ხალხური.

წერილში კი უცნაური განცხადება აღმო-ჩნდა, რომელსაც ქვემოთ ვებეჭად.

ცენტრალური გაზეთების რედაქციებს ასლი ჟურნალ „ნიანგს“

ჩვენ, ძველი და ახალი მიცვა-ლებულნი, ვაცხადებთ პროტესტს იმისა მიზეზისა გამო, რომ ამ ბოლო დროს გაზეთებში სამგლო-ვიარო განცხადებების გვერდით იბეჭდება განქორწინების განცხა-დებებიც.

რათა ამ გარემოებამ ცოცხლე-ბის ფართო მასებში არ გამოიწვიოს გაუგებრობა და ისინიც — ესე იგი, განქორწინებულნიც, პატიოსან მი-ცვალეულთა შორის არ შთაირა-ცნონ, ვაცხადებთ, რომ ჩვენ — პა-ტიოსან გვაშებს, ამ გაყრილებთან არაფერი გვაქვს საერთო. პატი-ცემულ რედაქტორებს კი ვთხოვთ, მათი განცხადებებისათვის გამო-ნახონ სხვა ადგილი. მაგალითად, იმ განცხადებების გვერდით, რო-მელსაც ქვემოთ „ჩაითვალოს გაუ-ქმებულად“ აწერია.

ძველი და ახალი მიცვალეულნი

ქართული
ზინჯიროთქა

ნესტორ თხლაშაძის: (ზესტაფონი) — ზესტაფონის კინოთეატრის შესახებ იწერებით:

„აქ კინოში რომ დაესწროთ
გინდათ კარგი გული
შიღ შეხვალათ იმართება
ბრძოლა ხელნართული.
სკამებს ნომრები არა აქვს
საქმეც „იოლდება“
ვინც მოასწრებს ის დაჯდება
ვინც არა და რჩება.“

თქვენ გგონიათ მარტო ზესტაფონის კინოთეატრში ხდება ასეთი „ხელნართული ბრძოლები?“ და

„შესაძლოა წესრიგია
ხაშურში ან ონში?“

აი რას გვწერს თვით თბილისის კინოთეატრ „სპარტაკის“ მენეჯერმა კი ამხ. ნ. კილასონია:

„თითქმის ყველა სენსუე
ისმის სიტყვა მგზობელი,
რადგან თითო გამხმარ სკამს
შყავს სამ-სამი მფლობელი.“

ხედავთ? ეს სენი საერთოდ მოდებული ყოფილა საქართველოში. მაგრამ ეს კიდეც ისეთი დიდი უბედურება არ არის. წარმოდგინეთ თქვენი თავი კინოს ბილეთით კი არა, ნამდვილი რკინიგზის ბილეთით ხელში, შედინართ იგივე ზესტაფონის ან, კიდეც უკეთესი, სამტრედიის სადგურზე „ბლაცკარტიან“ ვაგონში ან (თუ გქონიათ ეს ბენდიერება) რბილში, და თქვენს ადგილზე ჰხედავთ უკვე წამოწოლილს და ჩექმებგახდისს, ქამარზემოსხნილ მოქალაქეს, რომელიც გახეულ წინდებიდან ცერებს გულგასახეთქად ათამაშებს. აი, ნამდვილი უბედურება, აი სად იწყება ნამდვილი „ხელნართული ბრძოლა“, რაც იმით მთავრდება, რომ თქვენ იძულებული ხართ წახვიდეთ დათმობაზე და გადინადოთ სამასიოდე მანეთი კონტრაქტორის სასარგებლოდ, რომელსაც თქვენ ბოლოს და ბოლოს შეწყაფხართ სრულიად ცარიელ ოთხადგილიან კუბეში და გარედან გიკეტავსთ კარს, სანამ შემოგიყვანდესთ მეორეს, მესამე და მეოთხე აღელვებულ მოქალაქეს.

ასეა ახლა ჩვენში ბილეთების საქმე ზოგჯერ. ყველას ისევე ტრამვაის ბილეთი სჯობს, გადინადოთ აბაზიან ბილეთში მანეთს, ან თუ გაქვთ სამ-მანეთიანს და წახვალთ მაინც წინ (თუ შიგ შესვლა მოახერხებთ).

ნ. პეტრულავას. (ქ. ცხაკაია) — იწერებით: „ორ თვეზე მეტია აბანო არ მუშაობსო“. ზამთარია და მოზანავეთა გაციებისა ეშინიათო. „თვითონ აბანოს გამგეს სერაპიონ ფოფხაძეს ორ თვეზე მეტია, რაც ტანი არ დაუბანია და გვეშინია ქავილისაგან არ დაიგლიჯოსო“. ნურც თქვენ გგონიათ რომ მარტო ცხაკაიაში ხდებოდეს ასეთი ამბავი. აი რას გვწერს ამხ. უჩა აბაშიძანი:

„აბაზაში აბანოა
ლაშაში და დიდებული
კვირაში ექვს დღეს ისვენებს
ზოქლომ-ჩამოკიდებული.“

და შემდეგ:

„აბანოში რომ შევიდა
კორაიას ქალი მართა
სიყმაწვილეს გეფიცებით
„ბარალინი“ დემართა.“

(გაცივებული კორაიას ქალი). სირცხვილი აბაზის აბანოს გამგეს ტროფიმე დარასელიას ამგვარ დამოკიდებულებებისათვის ქალებისადმი.

რაც შეეხება ცხაკაიას აბანოს საკითხს, მიმართეთ კომუნალური განყოფილების გამგეს ამხ. ბაგრატი სანაიას და თუ არც იგი იბანს ტანს, მაშინ რაიონის ხელმძღვანელებს აცნობეთ და სერაპიონ ფოფხაძესაც და ბაგრატი სანაიასაც ერთად „მოუწყობენ აბანოს“.

ომის ინვალიდს. (ხარაგოული) — თქვენი ლექსი „სოცურზუნველყოფის მზრუნველობა“, თვითონაც იწერებით და ჩვენც გეთანხმებით. ცოტა სუსტია პოეტურად, მაგრამ ჩვენ გვგონია ეს თვითონ თემის ბრალი უნდა იყოს. თვით თემა არის არაპოეტური. გაიხსენეთ თქვენი ლექსი:

„უზრუნველყოფას გაუთენდა
ახალი წლის კარგი დღენი,
ინვალიდებზე მიიღეს
ტანსაცმელი მრავალფერი.
გაჰკრეს, გამოჰკრეს ჩოთქები
და თვითონ შეხვდათ დრაფები
ინვალიდებს სიის ძალით
შეახვედრეს ფერჩატკები.
კომისიაც მოაწვიეს
დანაწილდა ტანსაცმელი
მაგრამ ომის ინვალიდებს
არ რგებიათ არაფერი.“

ამ ლექსის სისუსტე თქვენი პოეტური ნიჭის სისუსტეს არ მიეწერება. ასეთ ბოროტმოქმედებაზე ლექსი თქვენ კი არა ბარათაშვილსაც რომ მოენდომებია, მასაც არ გამოუყვდოდა. ამიტომ სჯობიან დასწეროთ ეს ამბავი უბრალო პროზად, დაასახელოთ ბოროტ-მოქმედთა გვარებიც და პირდაპირ გადმოუგზავნოთ საქ. სახკომ-საბჭოს, წითელარმიელთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ქ. თარგამაძეს.



მღამური: მთელი წელიწადია ფეხი არ შემოვიდგამს ჩვენს ეზოში.
სანიბ. მძიმე: როგორ უნდა შემოვიდგა ფეხი, ყელამდე ნაგავი და ლაფია აქ, ხომ დავინჩობოდი კაცი?

№ 3 აბანოს მოთქმა

აბანო № 3 (ფოსოს აბანო) უკანასკნელ ხანებში ცუდად მუშაობს. აბანოს მიღები დახიანებულია და მინერალურ წყალს ერევა ცივი წყალი.

ღმერთმა სულით გაანათლოს,
ბებიაჩემს ასე უთქვამს —
ვინც მომხვდარა ჩემს ტალღებში,
ხოხობივით გამითუთქავს.
დღეს კი ჩემს ძარღვს, ინჟინერი
აქეთ-იქით დაატარებს.
და გავცივდი, და დაემცივრიდი,
ვურთლები ნატახტარებს.
სიცივისგან მთლ-დ ვკანკალებ,
ველარ იცნობთ ჩემს ძველ სახეს,
ჩილები ხომ დამიმტკრიეს,
ზედაც ლაფი გადამასხე.
მასლას! წინად სხვას გკურნავდი,
მე გავმხდარვარ სამკურნალოდ.
აღმადგინეთ... და ნუ გამხდით
საოხუნჯოთ, საჟურნალოდ!!

ფირუზა

ო რ თ ა ჟ ა ლ ა

1. პურის დუქანი დაკეტეს,
რემონტი გვინდა გულითო,
სხვა წერტილში წადით, თუ გზიათ,
მთელ უბანს შემოუვლითო.
მაგრამ თვე გადის მგოთხე,
ვის ავანდება რემონტი,
მეპურეს რა ენაღვლება,
წვალაობს პელო, თუ გერონტი?
მთავარი მიღწეულია:
არის წყვეა და ქაფები.
ჯიბეს ქირურგი ამოწმებს,
ფეხებს — კრწანისის ლაფები.
2. ეს ლუდი კარგი სითხეა,
ასე წყნარი და მღუმარე?!
არც თრობა იცის, არც ჩხუბი,
არის წყალივით მხუმარე...
გინდა კიოსკში იყდი,
გინდა ეზოში, ბინაზე,
გინდა საესეს დალევ, გინდა ნაკულუს,
ქაფქაფას, დანდგარს ყირაზე...
ფასი კი მაინც ერთია,
ორთაჟ-ლელთა ჯინაზე:
თუმან — თუმანი, ხან მეტიც,
არ უნდა მოცდა, სინაზე...
ლიტრაში ოცი მანეთი
მიდის ქაფად და ლგარადა,
მომხმარებელთა საწყენად,
მელუდის გასახარადა.
3. ტრამვაის საქმე „მოგვარდა“
აღარ გვჭირდება ლოდინი,
„გაჩერებასთან“ არ ვიცდით,
სახლში გვაქვს სკამი, ლოგინი...
ხაზზე დამყარდა წესრიგი,
ვაგონს გზა არა ღლისაო.
თუ გეჩქარება, საქმეზე,
მუხლი მოიბი მგლისაო!
ტრამვაის საქმე მოგვარდა
გვარწმუნებს ტრესტი ამაში,
ვისაც არ სჯერა მან სცადოს
წამოსვლა ორთაჟალაში...
სკვინჩა ბელუჩაძე



— საკვირველი სურათია... გუშინ შიტლერი გაიძახოდა ჩვენი პოზიციიდან ღურბინდით მოსჩანს რუსების დედაქალაქიო, დღეს კი რუსების ტანკებს ვხედავ და მერე ისიც ბერლინიდან სულ ახლო..

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიგუაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშაღვიანი, ზ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი: სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1945 წ. 10/III. სახ. ლ. 3/ ბერლინის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. გამოც. № 10. შეკ. № 241, ში № 01713.